


### თაზი III

## სახელმწიფო ბიუჯეტის ასიბნეპები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელი განისაზღვრა 10 145 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 378 298.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 23.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 266 506.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.3%-ია.

საქართველოს 2011-2016 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 8 543 569.5 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 032 458.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 23.8%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 935 579.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.2%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 750 071.9 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 124 364.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 16.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 103 387.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 83.1%-ია.


## სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 407 001.6 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 102 196.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 25.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 109 768.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 107.4%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 444 357.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 119 280.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 26.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 117 770.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7%-ია.

2016 წლის I კვარტლის ასიგნებების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 1 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის

განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 367.8 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული დატაკი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების გაცემა. სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 158.4 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 161.1 მლნ ლარი;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი (ბინა) გადაეცა 350 ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 134 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 12 ბინის გამოსყიდვა, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 12 საცხოვრებელი სახლი. დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა: ქ. თბილისში, კალაუზნის ქ. N22-ში, ქ. დიდი დიღმის I მიკრო რაიონში, კაიროს ქ. N20-ში, დოდაშვილის ქ. N22-ში, ხოლო მიმდინარეობდა ბინების შესყიდვა: ქ. ქუთაისში - ერისთავის ქ. N7-ში, შმიდტის ქ. ნაკვეთ N2-სა და ნაკვეთ N3-ზე, ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან, ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N7-ის ე-1 და ე-2 ბლოკებში და ახლადაშენებულ კორპუსებში ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“. მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. ქუთაისში შერვაშიძის ქ. N53-ში, ქ. ზუგდიდში ბარამიას ქ. N7-ში და ქ. გორში მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე. დასრულდა ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N41-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები,

ხოლო მიმდინარეობდა: ქ. ქუთაისში, ნიკეას ქ. N21-ში და ქ. თბილისში თბილისის ზღვის მიმდებარედ დევნილთა განსახლების ობიექტზე.

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 1 347 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 427 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 239 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 118.7 მლნ ლარი;

- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2015-2016 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ჩართული იყო 24 ინგლისურენოვანი, 1 ფრანგულენოვანი და 16 ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებელი;

- 1 186 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები გადანაწილებულნი იყვნენ 419 საჯარო და 4 კერძო სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უნივერსიტეტში;

- უზრუნველყოფილ იქნა 1 162 საჯარო სკოლის 66 440 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია, ამ მიზნით სულ მიიმართა 3.2 მლნ ლარი.

- „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულ მიიმართა 4.3 მლნ ლარი;

- პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში შეძენილ და საჯარო სკოლებისათვის გადაცემულ იქნა 90 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი სკოლის გამოსაშვები („CAT“) გამოცდების ჩასატარებლად;

- დასრულდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმულანლოს ახალი სკოლის მშენებლობა და 100 საჯარო სკოლისა და 6 პროფესიული სასწავლებლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს ახალი სკოლის პროექტირება და 53 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო პროექტების მომზადება. ასევე, პროექტის „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ფარგლებში განხორციელდა თხუთმეტი საჯარო სკოლის (ონის, ხელედის, ახალქალაქის მე-4, ვალეს, წალვერის, სათხის, კავთისხევის, გორის მე-2, გორის მე-9, შინდისის, ხელთუბანის, ხაშურის მე-9, კეხიჯვრის, სალოლაშენისა და ოყურემის) საპროექტო სამუშაოები და რეაბილიტაციის მიზნით შეირჩა 35 საჯარო სკოლა ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონებში;

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში. განხორციელდა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება როგორც ქვეყნის ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;

- ხელი შეეწყო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 700 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 374 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 30 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით;

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 70-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 90-მდე სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 48 სახეობაში. ქართველმა

სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 55 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 216 მედალი (76 ოქრო, 53 ვერცხლი და 87 ბრინჯაო);

- სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში დაწყებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში 24 გარე სავარჯიშო მოწყობილობის დამონტაჟებას. ამავე პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი;

- „ახალგაზრდული ფესტივალი 2016“-ის ფარგლებში ჩატარდა მრავალჟანრობრივი ფესტივალის - „ფანARTი“ პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნების 10 მიმართულებით (საავტორო ან იმპროვიზირებული კლასიკური მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება, კინო/ანიმაცია, ფოტოგრაფია, სოციალური ტელემედია, როკი/ალტერნატიული მუსიკა, ლიტერატურა, ფოლკლორი, სტენსილი) გამორჩეული ახალგაზრდების (მონაწილეთა ასაკი - 15-29) ნიჭის წარმოჩენას.

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯადმიანი, ბედონი, ბეგონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წვერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი, ქოროლო, ზემო მლეთა, ქვემო მლეთა, არახვეთი, ქვემეთი, ფასანაური, ანანური, არანისი) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (4.3 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2015 წლის დეკემბერში და 2016 წლის იანვარ-თებერვალში მოხმარებული 4.4 მლნ მპ ბუნებრივი აირის ღირებულება 1.8 მლნ ლარის ოდენობით;

- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, წყალსაცავების მშენებლობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით მიიმართა 11.4 მლნ ლარი;

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ხორციელდება მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, შესაბამისად სააგენტო უზრუნველყოფს პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 293 სესხი - 8,7 მლნ დოლარის და 63 სესხი - 2,7 მლნ ლარის ოდენობით. სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 14.1 მლნ ლარი.

- 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში მოხსულმა მიწის ფართობმა შეადგინა 82 581 ჰექტარი, რისთვისაც სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირებისათვის მიიმართა დაახლოებით 9.0 მლნ ლარი;

- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ფარგლებში ძირითადად განხორციელებული იქნა იძულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია: ცოფის, ჯილეხის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ნოდულარული დერმატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ყირიმ კონგოს საწინააღმდეგოდ. ასევე, განხორციელდა ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგისტრაცია, აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა 1.1 მლნ ლარი;

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 67.1 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდულ შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 14.0 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 10.6 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 28.7 მლნ ლარი.

- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 31.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 15.9 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 1.9 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 1.4 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) პროექტზე -1.5 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II პროექტზე -2.3 მლნ ლარი;
- ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II პროექტზე - 4.7 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა - რეაბილიტაციაზე პროექტების ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა და დასრულდა: ქალაქ ფოთში ნაბადას სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები, სოფელ ნოსირში 17 ჭაბურღილის რეაბილიტაცია, ქალაქ ქუთაისში ვაჟა-ფშაველას და კლდიაშვილის სატუმბი სადგურის და რეზერვუარის მშენებლობა, ქალაქ ურეკში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა, კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება, გამწმენდ ნაგებობასთან მისასვლელი ხიდის და დროებითი გზის შეკეთება. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 19.4 მლნ ლარი.

- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 52 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს - 374 ობიექტი;

- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავი ქონებით დაკმაყოფილებულ იქნა 841 ობიექტით გადაადგილებულ პირთა ოჯახი, ხოლო 215 უძრავი ქონება გადაეცა ეკომიგრანტთა ოჯახებს;

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა 16 პრეს და გაცნობითი ტური სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე, მესტიაში მოეწყო პრესს ტური ახალი სათხილამურო კურორტ „თეთნულდის“ პირველი ეტაპის გახსნის ღონისძიების ფარგლებში და ასევე, მონაწილეობა იქნა მიღებული შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა - ბაზრობებზე: „FITUR 2016“ (ესპანეთი); „EMITT 2016“ (თურქეთი); „Balttour 2016“ (ლატვია); IMTM (ისრაელი); „ITB 2016“ (გერმანია); „UITT 2016“ (უკრაინა) და ქ. ბერლინში გამართულ 81-ე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირეული“;

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულებები გაფორმდა 9 ბენეფიციარ კომპანიასთან საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით. მათ მიერ განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 10 845 019 ლარს, ხოლო ფინანსური ინსტიტუტებიდან გაცემული სესხების ოდენობა - 7 713 330 ლარს (შეიქმნება დამატებით 224 ახალი სამუშაო ადგილი). პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 1 127 ბიზნეს პროექტი, გამოცხადდა ბიზნეს იდეების მიღების მეორე ეტაპი, პარალელურად ჩატარდა საინფორმაციო ტიპის გასვლითი შეხვედრები საქართველოს მასშტაბით და გაიმართა ბიზნეს იდეების კონკურსი (მიღებულია 14 081 განაცხადი). გარდა აღნიშნულისა, პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში პირველად ჩატარდა ქართველ მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომელიც მოიცავდა ქართველი მეწარმეების (კვების პროდუქტების, ღვინის წარმოების, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტული და ტექსტილის მწარმოებელი კომპანიებიდან) გერმანიაში ვიზიტს, ტრენინგებსა და ასევე, ინდივიდუალურ შეხვედრებს გერმანიაში მოქმედ კომპანიებთან;

- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით მომზადდა 2016 წლის ექსპორტის კატალოგი და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზება გაეწია საკვები პროდუქტების

„Gulfood 2016“ და ფარმაცევტულ „Duphat 2016“ (დუბაი) საერთაშორისო გამოფენებს, სადაც 12-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა;

- 2016 წლის იანვარში ოფიციალურად გაიხსნა და ამოქმედდა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი;

- გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 10 ხელშეკრულებასა და ოქმს, ხოლო ძალაში შევიდა 15 ხელშეკრულება. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;

- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება კვიპროსთან, ხოლო ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხრეთ კორეასთან;

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2016 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 15 მარტს გამოშვებული 400,846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 360,846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 11.514 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40,000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- ✓ 10,000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 14.000 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 8,000.0 ათასი ლარი წლიური 14.125 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 12,000.0 ათასი ლარი წლიური 14.250 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- ✓ 10,000.0 ათასი ლარი წლიური 14.375 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2016 წლის 15 მარტს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 6,000.0 ათასი ლარის ოდენობით;

- 2016 წლის 28 იანვარს ჩატარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნები, არჩევნებზე სულ მიიღმართა 646.3 ათასი ლარი, მათ შორის 2016 წელს - 479.4 ათ. ლარი;

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 11 პოლიტიკური პარტია;

- გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM)“

- საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 9 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიღმართა 5.8 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 358 848.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 347 142.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.7%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 17.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 15.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 269 144.2 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 234 130.9 ათასი

ლარი, რაც გეგმის 87.0%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.1%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 34 580.1 ათასი ლარი;
- მივლინებები - 18 443.8 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 42 831.7 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 3 479.5 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 18 001.4 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 14 373.9 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 2 443.7 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 22 370.1 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 13 164.8 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 64 441.9 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 96 556.2 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 98.8%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.3%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 29 855.1 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 66 641.2 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 77 786.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 72 083.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.2%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 15 674.5.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.3%-ს შეადგენს;
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტი - ჯამურად მიიმართა 14 064.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 5 665.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78.1%-ს შეადგენს.
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 2 400.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 212 916.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (222 125.2 ათასი ლარი) 95.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.4%-ს შეადგენს.




„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 741 894.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (745 355.2 ათასი ლარი) 99.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 32.7%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 367 767.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 161 137.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 158 351.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 38 344.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.8%-ს შეადგენს;

### 2016 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 261 485.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 230 856.7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 88.3%-ს. „სხვა ხარჯების” მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების” საკასო შესრულების 11.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 10.2%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების” მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 118 660.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 23 571.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.2%-ს შეადგენს;
- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 3 892.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.2%-ს შეადგენს;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება-აღნიშნული მიზნით მიიმართა 16 052.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.1%-ს შეადგენს;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 16 052.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.1%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 729.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.3%-ს შეადგენს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 8 572.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2015-2016 წლების I კვარტლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

**შენიშვნა:** 701\* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 427 005.5 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 398 379.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 19.5%. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 81 414.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (99 631.2 ათასი ლარი) 81.7%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 389.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 424.0 ათასი ლარი) 78.4%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 96 496.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (97 654.0 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 204 640.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (210 491.6 ათასი ლარი) 97.2%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8 437.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 804.7 ათასი ლარი) 86.1%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 171 862.7 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 172 904.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.5%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 146 031.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (139 186.6 ათასი ლარი) 104.9%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 11 223.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 130.0 ათასი ლარი) 69.6%;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 15 270.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 051.1 ათასი ლარი) 95.1%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 378.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (495.0 ათასი ლარი) 76.4%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 246 559.1 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 224 963.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.0%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 128 168.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (137 655.9 ათასი ლარი) 93.1%;

- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 14 336.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15 787.5 ათასი ლარი) 90.8%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 24 614.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 422.0 ათასი ლარი) 89.8%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 27 285.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 706.9 ათასი ლარი) 95.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 30 559.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (36 986.8 ათასი ლარი) 82.6%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 182 631.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 157 940.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.7%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 14 223.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 329.0 ათასი ლარი) 87.1%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 41 479.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (44 474.2 ათასი ლარი) 93.3%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 6 372.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 184.1 ათასი ლარი) 57.0%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 256.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (293.9 ათასი ლარი) 87.1%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 77 816.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (88 255.8 ათასი ლარი) 88.2%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 12 835.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 518.6 ათასი ლარი) 77.7%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 956.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 576.1 ათასი ლარი) 88.9%-ს შეადგენს.


• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 10 169.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9 918.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 546.4 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 160.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (209.7 ათასი ლარი) 76.7%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 5 268.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 622.5 ათასი ლარი) 114.0%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 3 942.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 337.2 ათასი ლარი) 73.9%-ს შეადგენს.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 10 824.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 440.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.4%. მათ შორის:
  - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2 608.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 400.0 ათასი ლარი) 76.7%-ს შეადგენს;
  - ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 4 688.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 659.0 ათასი ლარი) 70.4%-ს შეადგენს;
  - ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 144.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (765.9 ათასი ლარი) 18.8%-ს შეადგენს.
  
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 230 701.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 229 706.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.3%. მათ შორის:
  - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 537.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 554.0 ათასი ლარი) 34.6%;
  - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 171 861.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (172 030.1 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
  - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 33 819.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (32 957.9 ათასი ლარი) 102.6%;
  - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 15 210.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 982.7 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს;
  - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8 278.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8 176.8 ათასი ლარი) 101.2%-ს შეადგენს.
  
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 64 437.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 54 332.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.7%. მათ შორის:
  - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 16 996.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (21 764.7 ათასი ლარი) 78.1%;
  - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 23 023.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (26 307.9 ათასი ლარი) 87.5%-ს შეადგენს;
  - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 11 553.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 079.8 ათასი ლარი) 88.3%-ს შეადგენს;
  - ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 191.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (220.0 ათასი ლარი) 87.0%-ს შეადგენს;
  - ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 567.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 064.6 ათასი ლარი) 83.8%-ს შეადგენს.
  
- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 243 904.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 218 271.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.7%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 119 554.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (120 410.0 ათასი ლარი) 99.3%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 3 614.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 254.8 ათასი ლარი) 84.9%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 23 306.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 003.4 ათასი ლარი) 93.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 25 111.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 789.0 ათასი ლარი) 84.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 9 185.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 352.9 ათასი ლარი) 88.7%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 37 499.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (54 010.4 ათასი ლარი) 69.4%-ს შეადგენს.

**2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში**



• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 568 726.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 565 110.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 27.7%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 392.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (458.0 ათასი ლარი) 85.7%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 367 833.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (368 173.0 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 160 653.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (160 860.6 ათასი ლარი) 99.9%;

- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 2 455.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 498.1 ათასი ლარი) 98.3%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 23 471.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 889.0 ათასი ლარი) 98.3%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 10 304.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 847.8 ათასი ლარი) 80.2%-ს შეადგენს.

### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 29 126.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 9 627.4 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაგების მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>		<b>519,460.3</b>	<b>179,659.2</b>	<b>179,659.2</b>	<b>0.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N212 11.02.16.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	519,460.3	179,659.2	179,659.2	0.0
<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>		<b>1,200,120.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N547 31.03.16.	2016 წლის 22 მაისს დანიშნული გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების დაფინანსების მიზნით	1,200,120.0	0.0	0.0	0.0
<b>საერთო სასამართლოები</b>		<b>850,815.0</b>	<b>121,545.0</b>	<b>35,316.1</b>	<b>86,228.9</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N257 19.02.16.	2016 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის („გამომიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესის“) ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების მხარდასაჭერად	850,815.0	121,545.0	35,316.1	86,228.9
<b>ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>		<b>1,729,085.0</b>	<b>41,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>41,000.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N484 21.03.16.	2016 წლის 4-17 აპრილს ნატო-ს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	41,000.0	41,000.0	0.0	41,000.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N543 31.03.16.	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	1,688,085.0	0.0	0.0	0.0
<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>		<b>96,464.9</b>	<b>25,072.7</b>	<b>17,299.2</b>	<b>7,773.5</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N129 02.02.16.	ა(ა)იპ - ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ოფისის ქირის დასაფარად	96,464.9	25,072.7	17,299.2	7,773.5



დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
<b>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</b>		<b>1,941,964.2</b>	<b>28,125.6</b>	<b>28,124.0</b>	<b>1.6</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N50 18.01.16.	სახელმწიფოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების წარმოების და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობების განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვისათვის და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად	1,468,384.2	28,125.6	28,124.0	1.6
საქართველოს მთავრობის განკარგულება N210 11.02.16.	საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, იურიდიული კომპანიებისა და სისხლის სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, სათანადო ცოდნის მქონე ექსპერტების მიერ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს საექსპერტო დაწესებულებებში შესაბამისი კვლევების ჩატარების, მათ ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადების დასაფინანსებლად	473,580.0	0.0	0.0	0.0
<b>საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო</b>		<b>15,000,000.0</b>	<b>8,000,000.0</b>	<b>6,556,075.0</b>	<b>1,443,925.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N465 18.03.16.	2016 წლის კულტურულ ღონისძიებათა გეგმის განხორციელებისა და აღნიშნულის ეტაპობრივი დაფინანსების მიზნით	15,000,000.0	8,000,000.0	6,556,075.0	1,443,925.0
<b>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</b>		<b>988,771.0</b>	<b>699,223.0</b>	<b>699,222.2</b>	<b>0.8</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N177 04.02.16.	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით	988,771.0	699,223.0	699,222.2	0.8
<b>საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო</b>		<b>499,778.0</b>	<b>460,340.0</b>	<b>460,339.1</b>	<b>0.9</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N04-ს 26.01.16.	ს ა ი დ უ მ ლ ო	59,383.0	59,383.0	59,383.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N06-ს 02.02.16.	ს ა ი დ უ მ ლ ო	37,496.0	37,496.0	37,496.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N266 19.02.16.	„კახეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N25 განკარგულების შესრულების მიზნით	363,461.0	363,461.0	363,460.1	0.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N08-ს 17.03.16.	ს ა ი დ უ მ ლ ო	39,438.0	0.0	0.0	0.0
<b>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</b>		<b>2,000,000.0</b>	<b>400,000.0</b>	<b>51,365.5</b>	<b>348,634.5</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N393 07.03.16.	2016 წელს ქ. ბათუმში გასამართი საერთაშორისო კონფერენციის (მინისტერიალი) - „გარემო ეკოპისათვის“ (EFE 2016) ჩატარებასთან დაკავშირებით საორგანიზაციო სამუშაოების პირველი ეტაპის დაფინანსების მიზნით	2,000,000.0	400,000.0	51,365.5	348,634.5
<b>საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო</b>		<b>2,000,000.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N545 31.03.16.	საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016 - 2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული 2016 წლის ხარჯების დაფინანსების მიზნით	2,000,000.0	0.0	0.0	0.0
<b>საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები</b>		<b>2,300,000.0</b>	<b>1,600,000.0</b>	<b>1,600,000.0</b>	<b>0.0</b>



დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს მთავრობის განკარგულება N294 25.02.16.	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით სესხის გაცემა	2,000,000.0	1,600,000.0	1,600,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N546 31.03.16.	თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით	300,000.0	0.0	0.0	0.0
<b>ს უ ლ</b>		<b>29,126,458.4</b>	<b>11,554,965.6</b>	<b>9,627,400.3</b>	<b>1,927,565.3</b>

\* შენიშვნა: ნორმატიული აქტით განსაზღვრული თანხა შედგება საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხისა და ასევე, 31.03.2016 წლის მდგომარეობით შესაბამისი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით გამოსაყოფი თანხისაგან.

### საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 1 911.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 588.5 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია 02</b>		<b>1,420,837.7</b>	<b>1,081,573.7</b>	<b>518,992.8</b>	<b>562,581.0</b>
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N04/01/03 04.01.16.	შეწყობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	42,000.0	10,500.0	10,500.0	0.0
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N04/01/04 04.01.16.	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის ინფორმაციის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად, მედიამონიტორინგის სამსახურის (IPM), საინფორმაციო სააგენტოების „ინტერპრესნიუსის“ (IPN) და „ნიუპოსტის“ მომსახურების შესაძენად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	25,224.0	25,224.0	4,204.0	21,020.0
